



სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

ახალციხე, 2015 წლის 28 მარტი

სესია კულტურული მემკვიდრეობა

მოდერატორი:

ელინა გედენიძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

მონაწილეები:

ინგა დიაკონოვი - ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

ციური ლათაჩი - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაციული მენეჯერი;

ზაირა კელაპტრიშვილი - ა.ა.ი.პ ახალციხის კულტურის დანერგვებულებათა გაერთიანების დირექტორი;

რეზო ანდლულაძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგე;

მაია სხირტლაძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურის უფროსი;

იმედა სირბილაძე - ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი;

ნინო მღებრიშვილი - ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ეკა ბორიკაშვილი - ა.ა.ი.პ. ადიგენის მთ. ბიბლიოთეკის დირექტორი;

ალექსანდრე გიგოლაშვილი - ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

მაკა ბერიძე - ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი;

გიორგი ზაზაძე - ა.ა.ი.პ. ასპინძის შოთა რუსთაველის სახ. მუზეუმის დირექტორი;

ოთარ ცინაძე - ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის განყოფილების უფროსი;

ნაირა ალხაზიშვილი - ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი;

ვიოლეტა ბალახაშვილი - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მმართველი.

დისკუსიის შედეგად, ე. ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის მუნიციპალიტეტების კულტურის სფეროს წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი პრობლემები და რეკომენდაციები :

ბიბლიოთეკები

პრობლემები

- მოძველებული კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ;
- საკვალიფიკაციო კურსების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა (ფასიანი კურსები)
- მწირი დაფინანსება/დაბალი ხელფასები;
- მოძველებული ბაზა/წიგნადი ფონდი/მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა;
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- თანამშრომელთა დაბალი კვალიფიკაცია;
- საბიბლიოთეკო დარგში უმაღლესი განათლების პროგრამების სიმცირე და დაბალი ხელმისაწვდომობა;
- საბიბლიოთეკო ფონდების არასათანადო შენახვა/შენარჩუნების პირობები/საშუალებები;
- სასოფლო ბიბლიოთეკების არარსებობა;
- სუსტი მენეჯმენტი.

რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზები

- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სერტიფიცირება;
- შენობების გამართვა;
- ფონდების შენარჩუნებისათვის სათანადო სივრცეების გამოყოფა და საკანონმდებლო ბერკეტების შემუშავება;
- საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;

მუზეუმები

პრობლემები

- ინფრასტრუქტურის გაუმართაობა;
- შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეფიციტი;
- სათანადო კლიმატური პირობების არარსებობა;
- შესაბამისი საგამოფენო დარბაზების/სივრცეების არარსებობა;

- მუზეუმებთან მიმართებაში ერთიანი მიდგომის არარსებობა;
- ერთობლივი სამუზეუმო პოლიტიკის არარსებობა;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან სუსტი კომუნიკაცია ადგილობრივი მუზეუმების შემთხვევაში;
- ცნობიერების დაბალი დონე;
- კადრების განათლების დაბალი დონე

რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზები:

- არქეოლოგიური ძეგლების იდენტიფიცირება/კვლევა
- დამთვალიერებლის მოზიდვის მიზნით კულტურულ-შემეცნებითი პროექტების განხორციელება
- რეგიონში ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა;
- კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების მოწყობა;
- არსებული ტურისტული მარშრუტების აღდგენა.

კულტურული ძეგლები

პრობლემები

- პასპორტიზაცია/დასურათება/ბაზის განახლების ნაკლებობა;
- კოორდინაციისა და კომუნიკაციის ნაკლებობა;
- ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის რეესტრში რეგისტრაციის საკითხების დაურეგულირებლობა;
- ძეგლების მდგომარეობის კონტროლის მექანიზმების გაუმართაობა;
- არქეოლოგიური კვლევების ნაკლებობა;
- ინფრასტრუქტურის გაუმართაობა;
- ძეგლებამდე მისასვლელი გზების გაუმართაობა და ადგილობრივი პასუხისმგებელი პირების ძეგლების დასათვალიერებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფის არარსებობა;
- არასათანადო განათლება და ცნობიერების დაბალი დონე;
- კადრების არასათანადო კვალიფიკაცია;
- ძეგლების ფიზიკური შესწავლა (სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთობლივად);
- საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა;
- ძეგლის მცველების არარსებობა;
- თვითნებური რესტავრაცია/რეაბილიტაცია;
- ჯავახეთის ისტორიული ძეგლების გადარჩენა/აღრიცხვა;
- კერძო საკუთრებაში მყოფი მესხური დარბაზების და ოდა სახლების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არცნობა (მათი სახელმწიფო დაქვემდებარებაში დაბრუნება/ძეგლის სტატუსის აღდგენა);
- ძეგლების რესტავრაციის სიმცირე (სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორია ითვლის 15-20 ციხე-სიმაგრეს - აქედან ჩატარებულია მხოლოდ ახალციხის (რაბათი) რეაბილიტაცია);

- კერძო საკუთრებაში მყოფი არქეოლოგიური მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ვალდებულებების განწერა საკანონმდებლო დონეზე
- ძველის სტატუსის მქონე ადგილობრივი, მოქმედი ა.ა.ი.პ.-ების შენობების გამართვისათვის სარემონტო სამუშაოების შეფერხება
- სამოქალაქო სექტორის პასიურობა.

რეკომენდაციები და პრობლემის გადაჭრის გზები:

- საცხოვრებელი სახლებისთვის ძველის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების გადახედვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება
- გუბერნიაში, მუნიციპალიტეტებსა და სამინისტროს შორის კოორდინაცია ძველთა დაცვის საკითხებზე (კონკრეტული პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება/დანიშვნა, ადგილობრივების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და შემდგომში დეცენტრალიზაციის საკითხების მოგვარება)
- საქართველოს კულტურისა და ძველთა დაცვის სამინისტროს მიერ ძველებზე განხორციელებული ან დაგეგმილი პროექტების შესახებ (პირველ რიგში შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის) ინფორმაციის მონოდება;
- კვლევების ჩატარების აუცილებლობა;
- უმცირესობებთან ურთიერთობების მექანიზმების შემუშავება.

თხოვნა სამინისტროსთან:

- კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მესხური დარბაზებისა და ოდა სახლების შეტანა (არსებულია 32 სოფელში);

თხოვნა ეკონომიკის სამინისტროსთან შუამდგომლობის წერილების შესახებ:

- ახალციხის კულტურის ცენტრის შენობა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. მესაზღვრეთა ბანაკის ტერიტორიაზე არსებობს მყარი ძველი კულტურის სახლის ნაგებობა, რომელიც არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, რომლის ახალციხის კულტურის სახლის ბალანსზე გადაცემის შემთხვევაში, სარემონტო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო თანხებს გამოყოფს ადგილობრივი ხელისუფლება.
- ასპინძის შოთა რუსთაველის სახელობის მუზეუმი ამჟამად განთავსებულია ა.ა.ი.პ. ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, სადაც ვერ ხერხდება მუზეუმის სრული ფუნქციონირება და არტეფაქტების სათანადო პირობებში შენახვა. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოძიებულია მუზეუმისათვის შესაფერისი შენობა, რომელიც იმყოფება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე და შენობაში განთავსებულია სატყეო მეურნეობა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიაღწია შეთანხმებას სატყეო მეურნეობასთან, მასზედ რომ აღნიშნული შენობა დაეთმოს მუზეუმს, ხოლო სატყეო მეურნეობას დაეთმობა მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველი სართულის სივრცე დამოუკიდებელი შესასვლელით

და მიმდებარე ტერიტორიით. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის სამინისტრომ შეთანხმება არ გაითვალისწინა, ასევე უგულვებელყოფილია კულტურის სამინისტროს წერილი ეკონომიკის სამინისტროსთან შუამდგომლობის შესახებ (პასუხი კულტურის სამინისტროდან - შენობა ადგილობრივი დაქვემდებარებისა და სამინისტროს კომპეტენციას არ ექვემდებარება).

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას (აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება, მიმდინარეობს წინამოსამზადებელი სამუშაოები);
- მუნიციპალიტეტებში არსებულ იუსტიციის სახლებში ადგილობრივი ბიბლიოთეკების განთავსების შესახებ კულტურის სამინისტროს შუამდგომლობა.

სამწუხაროდ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ვერ დაესწრნენ აღნიშნულ შეხვედრას, მაგრამ წერილობით მოგვანოდეს ინფორმაცია ადგილობრივი კულტურის დანესებულებების პრობლემების შესახებ (იხ. დანართი).

ასევე დანართის სახით იხილეთ ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმები.

დანართი N1: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ-ების პრობლემები 5 ფურცელი;

დანართი N2: ადიგენის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგია 6 ფურცელი;

დანართი N3: ასპინძის მუნიციპალიტეტის პრობლემები, პრობლემების გადაჭრის გზები, ხედვა და რეკომენდაციები კულტურის პოლიტიკის სტრატეგიასთან დაკავშირებით 12 ფურცელი.